საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 8 22 01034920

19/04/2022

ელექტრონული ფოსტის მისამართი: foi+request-571-88bcbd24@askgov.ge

2022 წლის №1018793 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საქმიანობის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის/ალგორითმების, მათ შორის, სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნას, გაცნობებთ შემდეგს:

სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მითითებულ დეპარტამენტში ფუნქციონირებს სახის ამოცნობის/იდენტიფიცირების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ Dlib face recognition ბიბლიოთეკაზე მომუშავე სახის ამოცნობის/პირის იდენტიფიკაციის სისტემას. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა, უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, გამოიყენება ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობაში.

სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, დეპარტამენტი იყენებს შემდეგ სისტემებს:

- ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით - სპეციალურ სახის ამომცნობ სისტემას - ,,Polyface";
- დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით - დაქტილოსკოპიურ საიდენტიფიკაციო სისტემას - ,,dacto-2000“;
- ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით - ავტომატიზირებულ ბალისტიკურ შემადარებელ სისტემას - ,,арсенал“.

სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ,,112" მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს პიროვნების სახის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგამოძიებო მოქმედებების ხელშეწყობისათვის, ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის. ამასთან,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

გამომდინარე იქიდან რომ, მოცემული პროგრამული უზრუნველყოფის მიერ შეგროვებული ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის და ბიომეტრიულ მონაცემებს, მათი დამუშავება ხორციელდება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის ზედმიწევნით დაცვის საფუძველზე.

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი
თამთა ჩალაძე